საკრებულოს წევრის ვაჟა ოთარაშვილის

2020 წლის ანგარიში

2020 წლის 14 ივლისიდან დღემდე ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

2020 წლის 14 ივლისიდან დღემდე დავესწარი საკრებულოს 5 სხდომას, სადაც ჩემი მონაწილეობით მიღებულ იქნა 152 განკარგულება და 45 დადგენილება.

ამავე პერიოდში დავესწარი განათლებისა და კულტურის კომისიის 3 სხდომას სადაც განვიხილეთ 5 საკითხი.

აგრეთვე დავესწარი საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 6 სხდომას, რომელშიც მონაწილეობა მივიღე 87 საკითხის განხილვაში.

საკრებულოში ჩემს სახელზე დღემდე შემსულია ამომრჩევლთა 3 წერილი, სადაც ითხოვდნენ სხვადასხვა სახის დახმარებას. შესაძლებლობის ფარგლებში ყველას მოვუგვარე პრობლემა.

გასვლით სხდომაში მონაწილეობის მივიღე დიდ დიღომში, სადაც მულტიფუნქციურ-საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. გასვლითი სხდომის ფარგლებში მოხდა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშის მოსმენა, რომელიც მიმდინარე წელს განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებს შეეხება. ცენტრი დიდი დიღმისა და მთლიანად დედაქალაქის მაცხოვრებლებს მოემსახურება. საზოგადოებრივ ცენტრში მოეწყობა ფეხბურთისა და კალათბურთის სპორტული, ასევე ტანვარჯიშის, სპორტული ორთაბრძოლების, ძიუდოს, კრივის, კარატესა და ჭიდაობის დარბაზები, ტრენაჟორების სივრცე და ფიტნეს სექცია, ორი საცურაო აუზი, საუნა, სპორტული ინვენტარის მაღაზია, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, სახელოვნებოს სკოლა, ბოულინგი და სამაგიდო თამაშებისთვის განკუთვნილი ზონა.

დავესწარი გ. ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის დასის სეზონის გახსნას, რომელიც გაიმართა ეროვნული მუზეუმის ეზოში, სამთავრობო რეკომენდაციების და რეგულაციების დაცვით.